ა(ა)იპ ,,ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი დილა GEORGIA GORI CITI HALL Municipality NLP Football Club DILA under Tengiz Burjanadze”

, ,სასტუმროს მომსახურების”

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის

სატენდერო დოკუმენტაცია

CPV55100000

ქ.გორი

2015 წელი

სარჩევი

1. ტექნიკური დოკუმენტაცია ----------3

2. ტექნიკური დავალება ---------- 3

3. ხელშეკრულების პროექტი ----------5

4. სატენდერო წინადადების ფასების ცხრილი დანართი N 1.....9

5. რეკვიზიტები დანართი N2 ---------- 10

1.ტექნიკური დოკუმენტაცია

1.1 პრეტენდენტს არ აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.
1.2 .პრეტენდენტმა სისტემის საშვალებით უნდა წარმოადგინოს ფასების ცხრილი დანართი №1 შესაბამისად, რეკვიზიტები დანართი№2-ის შესაბამისად.
1.3 სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარებში.
1.4 სატენდერონ წინადადების ფასში ასახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი.
1.5 დაფინანსების წყარო და ანგარიშსწორების პირობები:
1.5.1. დაფინანსების წყაროს წარმოადგენს 2015 წლის ა(ა)იპ ,,ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი დილა GEORGIA GORI CITI HALL Municipality NLP Football Club DILA under Tengiz Burjanadze" ადგილობრივი ბიუჯეტი.
1.5.2. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.
1.5.3. ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

2. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება:

ა(ა)იპ ,,ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი დილა GEORGIA GORI CITI HALL Municipality NLP Football Club DILA under Tengiz Burjanadze"-ს მიერ გამოცხადებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ა(ა)იპ ,,ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი დილას GEORGIA GORI CITI HALL Municipality NLP Football Club DILA under Tengiz Burjanadze"-ს გუდის 22 კაციანი შემადგენლობის საქართველოს XXVI-ე ეროვნული ჩემპიონატის თამაშების წინ (სახლის თამაშები, სულ 5 თამაში , თამაშების კალენდარია: 2015 წლის 22 მარტი, 11 აპრილი, 24 აპრილი, 09 მაისი და 22 მაისი) სასტუმროს მომსახურება. 3 ჯერადი კვებით(მენიუ თან ერთვის).სასტუმროს უნდა გააჩნდეს ადგილზე კვების ბლოკი. სანიტარულად სუფთა ოთახები .ყველა ოთახს უნდა ჰქონდეს სველი წერტილი ცხელი -ცივი წყლით. ცხრა 2 ადგილიანი, ერთი 1 ადგილიანი და ერთი 3 ადგილიანი ნომრით. .კონდიციონერით. გათბობით, ინტერნეტი(wi-fi).ასევე სასტუმროს უნდა ქონდეს საკონფერენციო ოთახი. სასტუმრო უნდა მდებარეობდეს ქ გორში,

მენიუ

ვახშამი:

პური(თეთრი100გრ,სერი150გრ) სოკოს წვნიანი200გრ.
კატლეტი ქათმის.(1კაცზე 2ცალი), ხბოს ჩაშუშული150გრ(უცხიმოდ, ბევრი მწვანილით), პიურე100გრ,წიწიბურა100გრ,მწვანილის ასორტი, სპაგეტი+გახეხილი ყველი, ყველი50გრ(ნაკლებად მარილიანი), ქათმის სალათი100გრ,სალათი ცეზარი150გრ,
კ/პ სალათი, კეჩუპი(არა ცხარე), წვენი250მგრ(ვაშლის ან ალუბალი), ჩაი, ყავა, რძე200მგრ. ყველი 40 გრ, კარაქი20გრ, ჯემი40გრ, ხაჭო100გრ, არაჟანი30გრ, თაფლი20გრ,ქიშმიში50გრ, ნიგოზი50გრ,ხილი კაცზე 1ცალი(ბანანი, ვაშლი), მინერალური წყალი, ლიმონი.წყალი.

საუზმე

გერკულესის ფაფა50გრ (წყალზე დამზადებული) ჩაი, ყავა, რძე100მგრ, ყველი40გრ, კარაქი20გრ, ჯემი20გრ, ხაჭო100გრ,არაჟანი30გრ,
კვერცხი 2ცალი(მოხარშული), საქონლის სოსისი 2ცალი
ხლოპია50გრ, ნიგოზი20გრ, ქიშმიში20გრ.
ბანანი2ცალი, წვენი200მგრ(ალუბალი ან ვაშლი),პეჩენია,ლიმონი

სადილი:
ბოსტნეულის წვნიანი200გრ,მოხარშული ხბოს ხორცი200გრ(უცხიმო), შემწვარი ქათმის ფილე100გრ,მოხარშული თევზი(კალმახი 2ცალი), სპაგეტი+გახეხილი ყველი. კ/პ სალათი(მწვანილების გარეშე), წიწიბურა,ყველი40გრ(უმარილო),პიურე50გრ. სუფთა შავი შოკოლადი50გრ(თხილების და კრემების გარეშე), წყალი. წვენი200გრ(ვაშლი ან ალუბალი).

ყველა კერძი შეძლებისდაგვარად უცხიმოდ და უხახვოდ. ნაკლებად მარილიანი

შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს - 10 000 (ათი ათასი) ლარს, დღგ-ის ჩათვლით.

სასტუმროს მომსახურეობა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 22 მაისის ჩათვლით (5-ჯერ).
დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირისაგან, სვეტლანა ზაუტაშვილი
ტელ: 551 44 11 50

ხელშეკრულება სახელმწიფო

შესყიდვის შესახებ (პროექტი)

ქ.გორი ----2015 წელი

(ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში)

ერთი მხრივ,ა(ა)იპ ,,ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი დილა GEORGIA GORI CITI HALL Municipality NLP Football Club DILA under Tengiz Burjanadze”-(შემდგომში,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი დირექტორის გიორგი ტუღუშის სახით და მეორე მხრივ,_____ (შემდგომში„მიმწოდებელი”)წარმოდგენილი მისი დირექტორის _____სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ “საქართველოს კანონის და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, NSPA---------- გამარტივებული ელქტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი.

სასტუმროს მომსახურების შესყიდვა (CPVკოდი 55100000)

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1.ხელშეკრულების ღირებულებაა ---------- ლარი;

2.2.ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი

3. მიწოდების პირობები

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს, „შემსყიდველის“ მოთხოვნის შესაბამისად 2015 წლის ----------, უქმე დღეების ჩათვლით;

3.2 მიწოდების ადგილია: მისამართი:----------

4. ანგარიშწორების ფორმა და ვადები.

4.1. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება ეტაპობრივად, უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

4.2.„მიმწოდებელი “ფაქტიურად გაწეული მომსახურების თაობაზე „შემსყიდველთან“ ადგენს მიღება-ჩაბარების აქტს, რის საფუძველზეც „მიმწოდებელი“ „შემსყიდველს“ წარუდგენს საგადასახადო დოკუმენტს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადით;

4.3.„მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება მიმწოდებლის მიერ ანგარიშ-ფაქტურების წარმოდგენიდან 30 საბანკო დღეში.

5. მხარეთა უფლებები

5.1.“მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

5.1.1.სახელშეკრულებო ღირებულების ფარგლებში მოითხოვოს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების დროული გადახდა;

5.2.„შემსყიდველს“ უფლება აქვს:

5.2.1.მოითხოვოს ხარისხიანი მომსახურების მოწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებსა და ვადებში;

5.2.2.აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი

6.მხარეთა ვალდებულებები.

6.1.1.დროულად და ხარისხიანად შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები.

6.1.2. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

6.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

6.2.1.უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის “თანხის გადახდა ხელშეკრულების პირობები სშესაბამისად;

6.2.2.დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7. ფორს-მაჟორი.

7.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

7.2.ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული „შემსყიდველის“ ან/და „მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული ქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და მომსახურების მიწოდებაზე ემბარგო სდაწესებით, „შემსყიდველის“ საბიუჯეტო ასიგნებები სმკვეთრი შემცირებით და სახვა.

7.3.ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებები სშესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

8. ხელშეკრულების პირობებისა და ღირებულების გადასინჯვა.

8.1.თუ წინასწარი გაუთვალიწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

8.2.სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველი“ ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე

მუხლით დადგენილი შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3.საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

8.4.ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, „შეთანხმების“ სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.სადავო საკითხების გადაწყვეტა.

9.1. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა შეთანხმებით მოაგვაროს ყველა უთანხმოება, დავა, წარმოქმნილი მათშორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა გარემოების ირგვლივ;

9.2 თუ „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ ვერ შეძლებენ 30 დღის ვადაში სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით, შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს

10.ხელშეკრულების შესრულების შეფერხება.

10.1.თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წააწყდება რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 10 დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო, მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

11. მხარეთა მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა.

11.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი პირობებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების გამო დააკისროს „მიმწოდებელს“ ჯარიმა სახელშეკრულებო ღირებულების 10 %-ის ოდენობით;

11.2.საჯარიმო თანხების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

12. ხელშეკრულების კონტროლი.

12.1.ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ინსპექტირების ჯგუფი.

12.2. „შემსყიდველის“ ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი.

12.3. „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლი (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

13. ხელშეკრულების ენა.

ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია,
რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა.

14.1.ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

ა) მხარეთა შეთანხმებით;

ბ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს

2015 წლის -- ---------- ჩათვლით.

შემსყიდველი: მიმწოდებელი:

დანართი N 1

სატენდერო წინადადება, ფასების ცხრილი (ხარჯთაღრიცხვა)

პრეტენდენტის დასახელება ----------

1. სატენდერო წინადადების ფასი - ----------ლარი.

---------- ----------

(თანამდებობა, სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

ფასების ცხრილი

№	გასაწავი მომსახურეობის დასახელება	კაცთა რაოდენობა	დღეთა რაოდენობა	1 კაცის მომსახურების ფასი დღეში	1 კაცის მომსახურების ფასი 5 დღეში	სულ ფასი
1.	სასტუმროს დაბინავება და კვებით უზრუნველყოფა	22	5			

პრეტენდენტი ----------

დანართი N 2

რეკვიზიტები

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საინდენტიფიკაციო კოდი:

ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

მომსახურე ბანკი

ბანკის კოდი

ანგარიშის ნომერი

პრეტენდენტის ხელმოწერა ----------